

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ცაცანაშვილი

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მართვა საქართველოში
(პრობლემები და გადაჭრის გზები)

სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა

შიფრი 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი ქეთევან ცაცანაშვილი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე
ელექტრონული ბიზნესისა და საჯარო მმართველობის დეპარტამენტში

ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ იაშვილი

რეცენზენტები: რეცენზენტი: სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე
რეცენზენტი: თსუ რ.აგლაძის სახელობის
არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
ფ/მ თამაზ მარსაგიშვილი

დაცვა შედგება 2019 წლის "12" ივლისს, 15 საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის
სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი მე-6, აუდიტორია 105

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში, ხოლო
ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი პროფესორი კონსტანტინე აბულაძე

ABSTRACT

The issues of management innovative activity in Georgia have become a major topic of recent times, as the country has failed to use scientific technical resources from the Soviet period. The problem also strains that despite the diversity of research, innovation has not yet become a subject of discussion in the context of "knowledge-based society". The concept and content of innovation in scientific literature is explained as "outcome" as a "process" as an economic category. Unlike this approach, the innovation in the dissertation is systematic in the context of the "Science-Business-State-Society", which pushes this phenomenon in the long run, the importance of social development.

The problems of innovative activities are studied at three levels: the unified system - societies, social subsystems (institutional) and individual, social features (individual-person); The new approach of innovative activity is based on the modern paradigm of optimizing public-private partnership, ie the scientific research resources, the readiness of commercialization of research results, and the elements of corporative social responsibility.

It is given a form of innovation social expansion, ie discussing social projects as a business-project, based on responsibilities and innovations. Analyzes social innovations, as well as advantages of the management object compared to the economic category. This approach ensures the balance of the interests of the parties: balances the corporation's desire to win, society to equal equity distribution, to sustain the state-political system.

Discussion discussions are based on international standards and principles of public-private partnership in the field of innovative activities such as free development, continuity of cooperation, transparency, feedback, non-payment, guaranteeing, compensation, social responsibility and equality. The effectiveness of management implemented on the basis of these principles is measured by general effect: solving community, state, business development system problems, increasing efficiency of works and services, raising budget revenues, investment and innovative activities, level of competitiveness and social stability. Taking into account these principles, the effective use of direct and indirect support mechanisms in the state support of innovative activities is justified by the use of tools such as: tax and tariff benefits for innovative enterprises, scientific-corporates with innovative entrepreneurs Informational, organizational and financial cooperation in the development of activities, creation of schemes of state financial equity participation with scientific and technological research organizations within the framework of the applicable legislation for the construction of scientific-industry infrastructure, patent-licensing expenses etc. The gaps in the methodology used in the implementation of socially responsible actions in these standards are analyzed.

Under the proposed "cluster" conditions, the methodological peculiarities of public-private partnership have been established in research activity; Critical components of research institutes of Georgia and practice of implemented research are studied. On the basis of qualitative and quantitative research there is a tendency to identify the scientific reserve for solving the priority tasks in Georgia, in case of active stimulus from the state is the prospect of moving the country's innovative reels and the possibilities for producing meable products.

In the dissertation of the corporate social responsibility business style (Archie Koryle Pyramid) is an attempt to enter the state management strategy. This implies the implementation of state support policy towards innovative business that can act as a responsible employer and a member of a community. CSR - methodological approach to innovation and inventory value in innovative activity is justified based on "Responsible Innovations" and Scientists' Social Responsibility Paradigm. The presented concept in terms of implantation implies ethical reflection, directly between the Technology Assessment and Social Technology Studies. Under such an integrated approach, the importance of socio-humanitarian expertise and innovative projects, technological and applied ethics is justified in the management of innovative activities. The social responsibility of the scholar is primarily in the safe use of technologies to the public, minimizing negative consequences and avoiding negative results, ensuring trial facilities, population and environmental safety in the research process. The state should ensure the logical and comprehensive principle of this paradigm, which is derived from the ethical positions of innovations in the process of innovative activity. The scope of state support has been developed on the basis of legal analysis of social responsibility and academic freedom. These theoretical activities, mechanisms and tools together create a "breakthrough" strategy of innovative activity, in which it will be possible to bring Georgia's innovative activities to the EU trends.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტის მეოთხედის ინვესტირების დაანონსება განათლებასა და მეცნიერებაში ქვეყნის სწარავლი მოდერნიზაციის კონცეფციას ადამიანის შესაძლებლობების განვითარების პარადიგმით ცვლის. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი ინოვაციურ საქმიანობას ეკუთვნის, როგორც ახალ სოციალურ რეალობას.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საქართველოში სამეცნიერო ინოვაციური საქმიანობა ეფუძნება განვლილი პერიოდის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, აგრეთვე იმ ახალ ამოცანებს,

რომლებიც სამთავრობო პროგრამებსა და სამართლებრივ დოკუმენტებშია ფიქსირებული.

ამ დოკუმენტების მიხედვით ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველს, რომელიც ინსტიტუციების მოზიდვითა და სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციითაა შესაძლებელი. ინოვაციური საქმიანობის ახლებური მიდგომა მოითხოვს საჯარო-კერძო პარტნიორობის მართვითი პროცესების ოპტიმიზაციის თანამედროვე პარადიგმას, ანუ სამეცნიერო კვლევითი რესურსების, კვლევის შედეგების კომერციალიზაციისათვის მზაობის, აგრეთვე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ყოველმხრივ შესწავლასა და ანალიზს.

კვლევის პრობლემა მეცნიერებისა და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის არსის გააზრებასა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მექანიზმების დადგენას გუსლისხმობს, რომელთაც საქართველოში ინოვაციური საქმიანობის მართვის მდგრადობა უნდა უზრუნველყოს..

კვლევის ობიექტია: სამეცნიერო ინსტიტუტების ინოვაციური საქმიანობის მართვის პროცესი საქართველოში, ტენდენციები და ინოვაციებზე სახელმწიფოს ზეგავლენის ძირითადი მიმართულებები.

კვლევის საგანია: ინოვაციური პროცესების მართვაში საჯარო-კერძო პარტნიორობის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მექანიზმები.

კვლევის მიზანია: ინოვაციური საქმიანობის მართვის მოდელის დამუშავება და მეცნიერული დასაბუთება.

ამ მიზნის მიღწევის ამოცანებია:

1. სახელმწიფოს ინოვაციური საქმიანობის ანალიზი და სისტემური პრობლემების გამოვლენა;

2. საინოვაციო პოლიტიკის მექანიზმებისა და სტანდარტების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა;

3. საჯარო-კერძო პარტნიორობის ორგანიზაციულ-ინსტიტუციური საფუძვლების გამოკვლევა თსუ რ.აგლაძის სახელობის არაორგანიზებული ქიმიისა და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე; ინოვაციური საქმიანობის განვითარების პრობლემათა სოციოლოგიური გამოკვლევა;

4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნების დაზუსტება სამეცნიერო სექტორთან მიმართებაში. „პასუხისმგებლური ინოვაციებისა“ და „მეცნიერთა სოციალური პასუხისმგებლობის“ ურთიერთობის უპირატესობის ჩვენება ინოვაციური საქმიანობის ეფექტური მართვის საქმეში, CSR-ს ეროვნული მოდელის შერჩევა;

5. კერძო-საჯარო პარტნიორობისა და CSR- ის პოლიტიკის სფეროში საგანამანათლებლო დისციპლინების შემუშავება;

6. საქართველოში საინოვაციო საქმიანობის მართვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საკითხებია:

1. ინოვაციურ საქმიანობაში საქართველოს კვლევითი დაწესებულებების მზაობის შესწავლა;

2. ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის პრაქტიკის ანალიზი;

3. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებათა შესწავლა და მათი მნიშვნელობის დასაბუთება ინოვაციური საქმიანობის განვითარებაში.

ინოვაციური საქმიანობის მდგრადობას მომავალში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, „პასუხისმგებლური ინოვაციებისა“ და მეცნიერთა სოციალური პასუხისმგებლობის ერთობლიობა განსაზღვრავს .

თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი

ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს იმ მეცნიერთა სისტემური შეხედულებები, რომელთაც ინოვაციური საქმიანობის განვითარებისა და ხელისუფლების ბიზნესთან ურთიერთობის თეორიებზე არსებითი ზეგავლენა მოახდინეს.

ინოვაციური საქმიანობის პრობლემა და მისი მეცნიერული დამუშავება მეთოდური თვალსაზრისით სისტემური მიდგომის პრინციპების შესაბამისად განხორციელდა, რაც გულისხმობს ინოვაციური საქმიანობის რთული სისტემის მართვას, რომლის შიგნით ცალკეულ კომპონენტთა და კავშირების იერარქია არსებობს სისტემის მთლიანობის ფუნქციის უზრუნველსაყოფად. კვლევის ამ მეთოდოლოგიამ კონკრეტული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საშუალება მოგვცა კვლევის ავთენტური შედეგი მიგველო.

კვლევის თეორიულ საფუძველს აგრეთვე წარმოადგენს უცხოელ მკვლევართა და ქართველ მეცნიერთა შრომები (მათ შორის საქართველოში სხვადასხვა დარგებში მსგავს თემატიკაზე დაცული დისერტაციები) ჩვენს მიერ დასმულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგების სანდოობა ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკის, საქართველოს საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის, საცნობარო და სტატისტიკური მასალის, აგრეთვე, ოფიციალური დოკუმენტების ანალიზს.

კვლევითი ინსტიტუტების მიერ დამუშავებული ტექნოლოგიების და ინოვაციური საქმიანობის პრობლემათა კვლევა განხორციელებულია საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევართა და ბიზნესის წარმომადგენელთა გამოკითხვისა და მათი პასუხების ანალიზის საფუძველზე.

საკვლევი ამოცანების სპეციფიურობამ განსაზღვრა ზოგადსამეცნიერო და სპეციალური მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. გამოყენებულია დიალექტიკური მიდგომა, მართვის თეორია, გამოკითხვისა და დაკვირვების, სტრუქტურული კვლევის, ექსპერტული შეფასების მეთოდები, აგრეთვე სისტემური და შედარებით-სტრატეგიული ანალიზის მეთოდები.

კვლევა ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ შემდეგ სტანდარტებს: ინტეგრირებული ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტი (The standard of Integrated Reporting by International Council for Integrated

Reporting); გლობალური ანგარიშების ინიციატივა - GRI-3, GRI-3.1, GRI-4; სოციალური ანგარიშვალდებულება (Social Accountability) 8000; სტანდარტი - ISO 14001: გარემოს მართვის სისტემები, გამოყენების მოთხოვნები; სტანდარტი - ISO 26000:2010; კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტი - CSR-2008 და სხვა.

შესწავლილია საქართველოს კანონმდებლობა ინოვაციების მართვისა და საჯარო კერძო თანამშრომლობის სფეროში, დამუშავებულია მოქმედი კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის არაფინანსური ანგარიშები.

ინოვაციური საქმიანობის პრობლემების ანალიზი სამ დონეზე განხორციელდა: ერთიანი სისტემა - სოციოეტალური (societas), სოციალური ქვესისტემა (ინსტიტუციონალური) და ინდივიდუალური, სოციალური თვისებები (ინდივიდუალურ-პიროვნული); მოვლენის შესასწავლად ასეთი მრავალგანზომილებიანი მიდგომა გაპირობებულია მრავალმხრივი ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობით, არა მარტო კონკრეტული დარგის თავისებურებების მიხედვით, არამედ ფართო სოციალურ კონტექსტში, ცალკეული ინდივიდების მოლოდინებისა და ინტერესების შესაბამისად.

სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება საჯარო-კერძო პარტნიორობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებიდან მომდინარეობს.

შემუშავებულია ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მართვის პრინციპები საჯარო-კერძო პარტნიორობისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის ელემენტების გათვალისწინებით;

განსაზღვრულია კვლევების განვითარებისა და შედეგების დანერგვის კონცეპტუალური პირობები საქართველოში;

სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილია ემპირული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია: ტექნოლოგიების დანერგვის ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით; ინოვაციური და სამეცნიერო საქმიანობის

პრესტიჟულობის; საბუნებისმეტყველო დარგების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დონის; საქართველოში მეტნაკლებად მოთხოვნილი ინოვაციების; სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციისათვის მზაობის; სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების სახელმწიფო მხარდაჭერის; მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებაში დანერგვის ხელისშემშლელ პირობებსა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის სტიმულირებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილია პროფილური დისციპლინების პროგრამები ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით:

1. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა (კორპორატიული მოქალაქეობა);

2. საჯარო-კერძო პარტნიორობა.

თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს ინოვაციის დარგთაშორისი ცნების შემუშავება, რომელიც ასახავს წარმოების მეცნიერებასთან კავშირს, ახალი პროდუქტისა და მომსახურების შესაქმნელად. აგრეთვე, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის შედეგების გათვალისწინებით, მოიცავს საზოგადოების აწმყოსა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობას. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ინოვაციის, როგორც ეკონომიკურ კატეგორიასა საზოგადოების ახალ შესაძლებლობებს, აქტივებსა და ურთიერთობებს შორის ერთგვარ ბალანსს.

ინოვაცია მოცემულია სოციალური გაფართოების ფორმატი, ანუ სოციალური პროექტების ბიზნეს-პროექტის რანგში განხილვა, პასუხისმგებლურ კვლევებსა და ინოვაციებზე დაყრდნობით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების ბალანსს: აწონასწორებს კორპორაციის მისწრაფებას მოგებისაკენ, საზოგადოებას - სიმდიდრის თანასწორი განაწილებისკენ, სახელმწიფოს - პოლიტიკური სისტემის მდგრადობისკენ.

სადისერტაციო ნაშრომის **პრაქტიკული დანიშნულება**: სამინისტროებს შესაძლებლობა ეძლევათ შექმნან კვლევითი ინოვაციების

განვითარების სისტემა დარგების მიხედვით; დასვან ფართომასშტაბიანი ამოცანა „გარღვევის სტრატეგიის“ განხორციელებლად; გაზარდონ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ფუნქციები იმ თვალსაზრისით, რომ რალურად მოხდეს მცირე და საშუალო საწარმოების, უნივერსიტეტებისა და კვლევით ორგანიზაციების ინოვაციური საქმიანობის შედეგის კომერციალიზაციაში ხელშეწყობა; აწარმოონ ქვეყნის შიგნით ტექნოლოგიების გაცვლის, აგრეთვე ტექნოლოგიების იმპორტისა და ექსპორტის სტატისტიკა. იმის გამო, რომ ინოვაცია ყოველთვის დიდი რისკის შემცველია, პირდაპირი და ირიბი მხარდაჭერის მექანიზმებით შესაძლებელი იქნება „კვლევაზე დაფუძნებული სამინისტრო“-ს იდეის რეალიზება და ბიზნესისათვის საქმიანი გარემოს შექმნა.

დისერტაციის მასალები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უმაღლესი განათლების შესაბამის პროგრამებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი მოიცავს 154 გვერდს, შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, 4 თავის, 12 პარაგრაფის, ექვსი ქვეპარაგრაფისა და დასკვნისაგან, ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია 106 ერთეული დასახელებით, 26 კითხვიანი სოციოლოგიური გამოკითხვის დანართი.

ექსპერტთა ინტერვიუების და სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზი წარდგელი იყო მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2019-ს ფარგლებში საქართველოს 2019 წლის 24 აპრილს ტექნოპარკში გამართულ დარგთაშორისი კვლევების სემინარზე - „ინოვაციები, სახელმწიფო, ბიზნესი, საზოგადოება“;

ნაშრომის ცალკეული დებულებები აგრეთვე მოსმენილ იქნა სასწავლო-კვლევითი სამეცნიერო ცენტრის, სტუ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტისა და სტუ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ერთობლივ სემინარზე 2019 წლის 7-8 აპრილს.

ნაშრომის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით

სადისერტაციო ნაშრომის ეხება საქართველოში ინოვაციური საქმიანობის პრობლემების გამოვლენას და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

შესავალში მოცემულია ინოვაციების და ტექნოლოგიების მართვის სტრატეგიული ხედვის შემუშავების დასაბუთება სახელმწიფოს, მეცნიერებას, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის კავშირების ეფექტური ორგანიზებით.

ლიტერატურის მიმოხილვა სამი მიმართულებითაა განხორციელებული: ინოვაციების მართვა, კერძო-საჯარო პარტნიორობა, კორპორაციულ-სოციალური პასუხისმგებლობა.

ინოვაციური პროცესების არსი გაანალიზებულია ი.შუმპეტერის, ნ.ბანდურას, ა.გრუბლერის, პ.დრიუკერის, ფ.კოტლერის, ე.როჯერსის, დ.შონის, ბ.ტვისის, ფ.ნიკსონის, ბ.სანტოს, ბ.კარლოფის, გ.მენკიუს, მ.მოტტის, დ.რიკარდოს, ა.სმიტის, ბ. ფრანკის, მ.ფრიდმენის და სხვათა შრომების მიხედვით.

საჯარო-კერძო პარტნიორობა შესწავლილია იმ უცხოელ მეცნიერთა შრომების მიხედვით, როგორცაა პ.ბაუფი, ფ.იოხანსონი, ბ.კარლოფი, ჯ.კეინსი, რ.კოუზი, გ.მენკიუ, მ.მოტტი, მ.პორტერი, ლ.პრუსაკი, დ.რიკარდო, მ.როლი, პ.სამუელსონი, ა. სმიტი, ბ.ფრანკი, მ.ფრიდმენი, უ.შარპი და სხვა. რაც შეეხება ინოვაციური საქმიანობას და კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობის სფეროს(CSR), თანამედროვე მკვლევართაგან აღსანიშნავია: დ.ბოუი (David Bowie), ჯ.ვუდი (James Wood), ჯ.დევისი (James Chowning Davies), ს. ზადეკი(Simon Zadek), ა.კეროლი (archi Carroll), თ.ლევითი(Theodore Levitt), ჯ.მაკგუირი(John Joseph McGuire), მ.პორტერი(Michael Eugene Porter), მ.ფრიდმანი(Milton Friedman), ე.ფრიმანი(Edward Freeman) და სხვა.

დღესდღეობით საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე CSR-ს თემა დარგთაშორისი კვლევითი მიმართულებაა, რომელიც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებს იკვლევს. თუმცა ნაკლებადაა შესწავლილი CSR-ს პრობლემატიკა სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო

მმართველობის კონტექტში. ამ მიმართულებით გარკვეული მცდელობებია მოცემული ისეთ მკვლევართა მიერ, როგორებიც არიან: თ. ჰოსკინსი (T. Hoskins), დ. დეტომასის (Detomasi D. A.), ა. კრეინი (Crane A), დ. მატენი (Matten D) და სხვა.

დასახელებული ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის კვლევები ტრადიციულად ფოკუსირებულია კორპორაციულ სექტორსა და ბიზნესზე. ინოვაციური საქმიანობაში კი მეცნიერების, ბიზნესის და სახელმწიფოს ერთობლივი აქტიურობა აუცილებლად ითხოვს ამ მიმართულებით კვლევის სფეროსა და ობიექტის გაფართოებას.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში **ინოვაციური საქმიანობის თეორიული საფუძვლები და განვითარების ეტაპები საქართველოში**, მოცემულია შემდეგი საკითხები: ინოვაცია, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის ობიექტი; საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა და განვითარებად ქვეყნებში; ინოვაციური საქმიანობის მოდერნიზაციის პრობლემები საქართველოში; საინოვაციო პოლიტიკაზე გადასვლის ტენდენციები საქართველოში.

კვლევის დროს ყურადღება გადატანილია იმ ფაქტზე, რომ საზოგადოებაზე მრავალმხივი ზეგავლენის გამო, ინოვაცია გასცილდა ეკონომიკის ფარგლებს და სხვადასხვა დარგის მეცნიერთა შორის ფართო განხილვის საგანი გახდა. ინოვაციას სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ მიიჩნევენ, როგორც - შედეგს, როგორც ცვლილებას, როგორც პროცესს¹, ან როგორც ახალ ეკონომიკურ ორგანიზაციას, კლასტერს². ბოლო ათი წლის განმავლობაში ინოვაციის სოციალური მახასიათებლის თვალსაზრისით კვლევების განვითარებას ხელი შეუწყო მასშტაბურმა საერთაშორისო კვლევამ SI-DRIVE (სოციალური ინოვაციები: სოციალური ცვლილებების

¹ Twiss, B.C. B Managing technological innovation. Pitman Publishing, London, 1992. p.211;

² Joseph Alois Schumpeter, The Theory of Economic Development John E. Elliott (Introduction), Redvers Opie (Translator) Stanford University Press, January 2, 1981, p.134;

მამოძრავებელი ძალა) ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში.³

ამ პროცესების გათვალისწინებით შემოთავაზებულია ინოვაციის ახლებური განმარტება: ინოვაცია გამოგონებისა და იდეის ისეთი პრაქტიკულ გამოყენებაა, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით პროდუქტს ან მომსახურებას ღირებულს ხდის. ეს განმატება ასახავს წარმოების მეცნიერებასთან კავშირს, ახალი პროდუქტისა და მომსახურების შესაქმნელად. აგრეთვე, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის შედეგების გათვალისწინებით, გულისხმობს საზოგადოების აწმყოსა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობას. ვფიქრობთ ეს უკვე ბალანსია ინოვაციის ეკონომიკურ მომგებიანობასა და საზოგადოებრივ ღირებულებას შორის.

საინოვაციო საქმიანობის მოდელის აგება საქართველოში დაკავშირებულია არსებული სიტუაციის შესწავლას ეფუძნება. ფაქტია, რომ სამეცნიერო რესურსების დინამიკა კატასტროფულად კლებადია. 2006 წლიდან დღემდე მეცნიერთა რიცხვი 12 ათასიდან 3 ათასამდე შემცირდა. არსებობს პრობლემები იურიდიულ სტატუსსა და ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. 1985 წელთან შედარებით მეცნიერების დაფინანსება მშთ-ს პროცენტული მაჩვენებლით 3%-დან 0,2%-მდე დავიდა (ეს მაჩვენებელი მოწინავე ქვეყნებში საშუალოდ 2%-3% -ს უდრის). კვლევით ინსტიტუტებმა დაკარგეს დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი, რის გამოც მათ საშუალება არ აქვთ გამოიყენონ საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მექანიზმები: კერძო სექტორთან თანამშრომლობა, საბანკო კრედიტები და სხვა.

არსებობს გადახრა სამინისტროების სისტემაში კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებასთან დაკავშირებითაც. მაგალითად: საქართველოში თავდაცვის სფეროში კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების წილი 30%, მაშინ როცა გერმანიაში -7%, განათლების

³ Social innovation research conference (ISIRC) 2018, <https://www.si-drive.eu/?p=3514>

სამინისტროს სისტემის ინსტიტუტების დაფინანსების წილი საქართველოში 30%-ა, ხოლო გერმანიაში-60%.

2012 წლიდან დაიწყო გარკვეული გზების ძიება ამ მიმართულებით სიტუაციის გამოსწორებისთვის. მეცნიერების მართვის სფეროში რეფორმების მძიმე შედეგების მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისთვის აუცილებელი პირობები მაინც შეიქმნა. 2016 წ-დან კვლევების ხელშეწყობის დაფინანსება 36.59 მლნ ლარით გაიზარდა. განსაკუთრებით გამოყენებითი კვლევების წარმოებისთვის, აღსდგა მეცნიერის სტატუსი და დაიწყო მათი ჩართვა ახალი კადრების მომზადების საქმეში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ინოვაციის გლობალური ინდექსის მიხედვით საქართველომ 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით ცხრა პოზიციით წაიწია წინ, 68-დან 59-ე ადგილზე გადაინაცვლა.

აქედან გამომდინარე, ფართომასშტაბიანი ამოცანის დასმის შემთხვევაში ალბათობა გარღვევის სტრატეგიის განხორციელებისა დიდია. მით უმეტეს, რომ ასეთი შესაძლებლობები სამეცნიერო კვლევებს აქვთ. შესაბამისად, სამეცნიერო სექტორში საჯარო-კერძო პარტნიორობის მიზნის მიღწევის ალბათობა საკმაოდ დიდია.

ნაშრომის მეორე თავში **საჯარო-კერძო პარტნიორობის ახალი ტენდენციები ინოვაციური საქმიანობის სფეროში**, მოცემულია საჯარო-კერძო პარტნიორობის თეორიული საფუძვლები; საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების ძიების მსოფლიო ტენდენციები; კერძო-საჯარო პარტნიორობის სისტემის მართვის კონცეფცია.

საქართველოში საჯარო-კერძო უპარტნიორობას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მთავრობის 2016 წლის №245 დადგენილებით, რომლითაც საჯარო და კერძო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა, ხოლო 2018 წლის მაისში მიღებულ იქნა კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძვლები საქართველოს სამთავრობო დოკუმენტებით უკვე არსებობს, უნდა ითქვას, რომ არ არის განსაზღვრული ამ პარტნიორობის

თავისებურებები ინოვაციური საქმიანობის სფეროში და შესაბამისად დასახვეწია მისი პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმები.

ახალი მექანიზმების ძებნა მეტად საშური საქმეა, რადგან სამეცნიერო კვლევების 35-40% თანამედროვე ეკონომიკის მიერ არც ევროპაში და არც ამერიკაში ათვისებული არ არის,⁴

საქართველოში რ. აგლამის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მაგალითზე უცხოელი ინვესტორის დაკვეთით ტექნოლოგიების დამუშავების პირველი პრეცედენტი გამოჩნდა. ამჟამად ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები ჩართული არიან ნიუ ჯერსიში ბაზირებულ ამერიკული კერძო ფირმის „Long Arc Technology“-ს პირდაპირი დაკვეთით მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში. ინსტიტუტის კვლევის შედეგების სტატისტიკა აჩვენებს, რომ პატენტების რიცხვი 400-ს აჭარბებს. აქედან უცხოური პატენტების რაოდენობაა 35. ლიცენზიები გაყიდულია – იაპონია, გერმანია (გდრ, გფრ) და შვეიცარიაში. ინსტიტუტი ფლობს უცხოურ პატენტებს. მაგ.: ბაზალტის წარმოების ტექნოლოგიასთან დაკავშირებით გააჩნია გერმანული პატენტი. ლიცენზიები გაიყიდა იაპონიაში, გერმანიაში, კორეაში. ეს მონაცემები საქართველოში განხორციელებული კვლევების კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებენ და ამოცანების შეცვლის მიუხედავად ქართველ მეცნიერთა მიერ კვლევის პროცესი წარმატებით განხორციელდა. დღესდღეობით ინსტიტუტისათვის აშშ-ს აღნიშნული კომპანიის მიერ საქართველოში შემოტანილია 200 000 ლირებულების დანადგარი. ხოლო უნივერსიტეტს დამატებით უხდის პროექტის ღირებულების 7% (როგორც უნივერსიტეტის კვლევითი ერთეული).

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი ინოვაციური საქმიანობის პირობებისა და ფაქტორების განვითარების პრობლემათა კვლევას ეხება.

ინოვაციური სისტემის სუბიექტთა სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ინოვაციური საქმიანობის სფეროში კერძო-საჯარო პარტნიორობის პირობების გამოვლენის, სამეცნიერო-ტექნიკური

⁴ 61. Gabriel D. B., Delvin R. N. Market Update: A review of the US Public Private Partnership (P3) Sector in 2014 // Practical Law, 2015., p.89-90;

პოტენციალის, კომერციალიზაციისთვის მზაობის, მეცნიერებატევადი პროდუქციის დანერგვის ძირეული ფაქტორების შეფასების მიზნით.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად სამეცნიერო რეზერვი არსებობს. თუმცა რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ მათი საავტორო უფლებები სათანადოდ არ არის დაცული, რაც ხელს უშლის კომერციალიზაციის პროცესს. ამ მიმართულებით ხელისშემშლელ გარემოებად ისიც დასახელდა, რომ ნაკლებადაა შესწავლილი სამეცნიერო კვლევის შედეგებზე მოთხოვნები, ხოლო სამეცნიერო პროდუქციის კომერციალიზაციის დონე დაბალია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან პარტნიორობის (მეცნიერება-ბიზნესი-სახელმწიფო) გამორჩეულ მოდელად მიგვაჩნია იაპონური მოდელი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოა დეცენტრალიზაციის ნიშნებით.

სახელმწიფოს მაკოორდინირებელი როლს მნიშვნელობაზე გვაფიქრებს საქპატენტის სტატისტიკაც, რომლის მიხედვით 2004-2012 წლებში ძალადაკარგულად გამოცხადდა 2 298, 2016 წელს - 96, ხოლო 2017 წელს 354 პატენტი.⁵ ცხადია ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ეს დიდი რესურსული დანაკარგია. ამასთან, მეცნიერების პოპულარიზაციით ხელი შეეწყობა საკადრო პოლიტიკის გაძლიერებას არა მარტო ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მიმართულებით, არამედ კვლევის შედეგების კომერციალიზაციის კუთხითაც.

ასე, რომ სახელმწიფოს როლი ინოვაციურ საქმიანობაში რამდენიმე საკვანძო საკითხს მოიცავს:

- ✓ ინოვაციური საქმიანობაში მეცნიერთა და ბიზნესის წარმომადგენელთა ინვესტირების შესაძლებლობისთვის სტიმულირება;
- ✓ მცირე ბიზნესის წახალისება კოოპერაციაში შევიდნენ ინოვაციური პროცესის მონაწილეებთან, იპოვონ ტექნოლოგიური

⁵ საქპატენტი, ანგარიში, <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/> (ბოლო ნახვა მარტი, 2019);

შესაძლებლობები და საკუთარი პროდუქციით დაიკავონ საბაზრო ნიშა;

- ✓ სტრუქტურების ერთობლიობის უზრუნველყოფა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ინოვაციური პროცესის მონაწილეების ბაზრის დინამიკაზე.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავში - **ინოვაციური საქმიანობა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა** - მოცემულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR): კატეგორიის გენეზისი და მოდელები, შესწავლილია ანგლოსაქსური მოდელი; ევროპული მოდელი; აზიის ქვეყნების სპეციფიკა; საქართველოს CSR ეროვნული მოდელის ფორმირების ტენდენციები; ”პასუხისმგებლური ინოვაციებისა” და ტექნოლოგიების კორპორაციული სოციალური შეფასება;

ამ საკითხების ერთობლიობა იმ იდეოლოგიას გულისხმობს, რომ ინოვაცია ღირებულ პროდუქტი ან მომსახურება მაშინ იქნება, თუ იგი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ნიშნით ხასიათდება.

ახალი დროის ფილოსოფიამ პასუხისმგებლობის კლასიკურ თეორიას (პლატონს, არისტოტელს, უ.პეტის, ა.სმიტის, ა.სენ-სიმონი, გ.ჰეგელი, ჯ.მილი, კ.მარქსი, ა.მარშალი, თ.ვებერი) პერსპექტიული ხასიათი შესძინა. კერძოდ, სტატიკურ მდგომარეობას დროში, დაემატა პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე, რაც საკუთარი საქმიანობის შედეგების იმედიანობას გულისხმობს.

CSR-ს შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც ამ ფენომენის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე ზეგავლენის გაზომვით გამოვლინდება. ეს მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროა, რადგან ყალიბდება ბაზრის, კონკურენციისა და მართვის ახალი გაგება - ეკოლოგიურად უსაფრთხო, სოციალურად სამართლიანი ეკონომიკური ზრდის ახალი, „მწვანე ეკონომიკის“ ინსტრუმენტი. საჯარო მმართველობის თვალსაზრისით კი ზეგავლენის გაზომვის ერთ-ერთ საშუალებად აუდტის მექანიზმი მიგვაჩნია, რომლის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების მეშვეობითაა შესაძლებელი: ISO 26000 «Social

Responsibility»; ISO 26000: 2010; ვერიფიკაციისა და არაფინანსური ანგარიშების სტანდარტი; GRI და AA1000 სტანდარტი, უსაფრთხოებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების სტანდარტები (მაგ: ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა - OHSAS 18001 და დარგობრივი სტანდარტები.

CSR-ს საკითხი ინოვაციურ საქმიანობაში გამოგონებისა და აღმოჩენის ღირებულების პრობლემას აჩენს. გამოგონება, აღმოჩენა მაშინაა ღირებული, თუ იგი სოციალური უნარის მატარებელია. ამიტომ, სუბიექტისათვის დამახასიათებელი თვისება - პასუხისმგებლობა, შეიძლება ობიექტისკენ მივმარფთოთ და სამუშაო ტერმინად შემოვიტანოთ -"პასუხისმგებლური ინოვაციები" (Responsible Innovation).

ასეთ შემთხვევაში ისმება კითხვა: რა შინაარსი აქვს ფენომენს პასუხისმგებლური ინოვაციები, როგორც მოვლენას და პროცესს?

ევროკავშირის კომისიის ექსპერტთა მოსაზრებით, პასუხისმგებლურ ინოვაციებს მიეკუთვნება ის კომპლექსური კვლევები, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს მონაწილეობა მიიღოს პროცესის ადრეულ სტადიაზე და მიიღოს სათანადო ცოდნა ქმედების შედეგებთან დაკავშირებით.

პასუხისმგებლური ინოვაცია მოიცავს არა მარტო ახალ ტექნოლოგიებს, პროდუქტსა და მომსახურებას კლასიკური გაგებით (ბიზნესი-სახელმწიფო-მეცნიერება), არამედ ახალ მოდელზე გადასასვლის (ბიზნესი-სახელმწიფო-მეცნიერება-საზოგადოება) საფუძველს ქმნის. პასუხისმგებელი ინოვაციები ევროკომისიის დოკუმენტებსა და სამეცნიერო კვლევებში არ ფიგურირებენ, როგორც კორპორატიული სტრატეგიის ნოვატორული ფაქტორი, თუმცა სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ეფექტური რეალიზაციის გარანტს ისინი ნამდვილად წარმოადგენენ.

გამოგონებისა და აღმოჩენის ღირებულებითი მნიშვნელობა კიდევ ერთ ელემენტთანაა დაკავშირებული. ესაა მეცნიერთა სოციალური პასუხისმგებლობა. ამ ფენომენის საწყისი იმპულსი იყო გასული საუკუნის

60-იან წლებიის მოვლენები, როცა საზოგადოებამ დაიწყო გაცნობიერება - თუ რა ელოდება კაცობრიობის მომავალს სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების გაუაზრებელი გამოყენებისგან. ეს პროცესი და ქმედებათა შედეგები შეიძლება გარემოს დაბინძურების მიზეზი გახდეს ან ბუნებრივი რესურსების ამოწურვა გამოიწვიოს. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა ბიომედიცინის პერსპექტივებს, რის გამოც ამერიკელი მეცნიერი პ.ბერგი ბიოლოგების ჯგუფთან ერთად ინიციატივით გამოვიდა ნებაყოფლობითი აკრძალვა განეხორციელებინათ გენური ინჟინერიის სფეროში, რომელიც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმების გენეტიკური კონსტრუქციისთვის.⁶

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობა. პროფესიული პასუხისმგებლობისგან განსხვავებით, სოციალური პასუხისმგებლობა რეალიზდება მეცნიერებისა და საზოგადოების ურთიერთობის პროცესში. ამიტომ, ამ ლოგიკაზე დაფუძნებული პარადიგმა გულისხმობს: პროფესიული პასუხისმგებლობა - მეცნიერების ეთიკის შიდა მხარეა, ხოლო სოციალური პასუხისმგებლობა - მეცნიერების ეთიკის გარე მხარე. ისინი ცალ-ცალკე კი არ არსებობენ, არამედ მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადაჯაჭვულნი.

მართალია საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლში გასულ წელს შესული დამატება აკადემიური თავისუფლების შესახებ, წინადადებული ნაბიჯია, მაგრამ მართვის ვექტორი არ ჩანს. აკადემიური თავისუფლების სამართლებრივი უფლება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აბსოლიტური უფლება, არამედ, იგი არის მეცნიერთა უფლება საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობით. აკადემიური თავისუფლება არ არსებობს აკადემიური პასუხისმგებლობის გარეშე. თუ აკადემიური თავისუფლება სამეცნიერო პროგრესის მაჩვენებელია, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ სამეცნიერო პროგრესი არაა თვითმიზანი, არამედ სოციალური

⁶ Paul Berg, Dissections and reconstructions of genes and chromosomes. Nobel lecture, Bioscience Reports Apr 01, 1981, pp. 59-61;

კეთილდღეობა. პრაქტიკულად ეს დილემა გულისხმობს, რომ მხოლოდ ის სამეცნიერო-ტექნიკური გადაწყვეტები უნდა იქნეს მხარდაჭერილი, რომლებიც შესაძლო არასასურველი შედეგების თავიდან აცილებისა და მავნე შედეგების მინიმიზაციის შესახებ სრული ინფორმაციის საფუძველზეა შემუშავებული.

საკითხის კომპლექსურობა საქართველოს სინამდვილეში საჯარო-კერძო პარტნიორობისა და CSR-ის პოლიტიკის მიმართულებით ახალი საგანმანათლებლო დისციპლინების შექმნის აუცილებლობას ითხოვს. ამ დისციპლინების ძირითადი მიზანი არის პროფესიულ ცოდნასთან საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის უნარის გამომუშავება; უნივერსიტეტის მხრიდან მსგავსი პრობლემების სწავლება ხელს შეუწყობს საჯარო-კერძო პარტნიორობისა და კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას, უნივერსიტეტი ორიენტირებული იქნება ინოვაციურ პრობლემებზე, რაც მისი, როგორც უმაღლესი განათლების დაწესებულების კონკურენტუნარიანობის საფუძველიცაა.

ძირითადი დასკვნები

ინოვაციის ფილოსოფიური შესწავლა სახელმწიფოს როლს თანამედროვე სამყაროში სრულიად ახლებურად წარმოაჩენს, რაც სამყაროსთან ადაპტაციის ფუნქციასთან ერთად, საზოგადოების ინოვაციურ განვითარებაზე სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედების შესაძლებლობასაც გულისხმობს. ინოვაციის მომავალი, ტექნიკურ-ტექნოლოგიური წარმონაქმნების ხარისხობრივი განვითარების პარალელურად, საზოგადოების პოლიტიკური, კულტურული და სხვა სოციალური სფეროს მთლიან ცვლილებას უკავშირდება. ამიტომ, ინოვაცია აღარ არის მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია, არამედ, მეცნიერული მეთოდებით მისი გამოყენების სფეროს გაფართოება ამ ფენომენს სოციალურ მნიშვნელობას სძენს. სწორედ ინოვაციის სოციალურ ბუნებას გააჩნია პერსპექტივა

გლობალური გამოწვევების პროცესში ქვეყნის სიღრმისეული მოდერნიზაცია უზრუნველყოს.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ამოცანამ ინოვაციური საქმიანობის კონკურენტუნარიანობის დადგენის საშუალება მოგვცა. ამ შემთხვევაში ორეტაპიანი პროცედურა გამოვიყენეთ:

1. კვლევითი ინსტიტუტების კრიტიკული კომპონენტის გამოვლენა (სტატუსი, ფინანსები, ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო კადრები);

2. კონკრეტული, რეალიზებული კვლევის შედეგების პრაქტიკის შესწავლა გამოვლენილი კრიტიკული კომპონენტის პირობებში.

კრიტიკული კომპონენტის გამოვლენით დგინდება, რომ საქართველოში მეცნიერება „დეპრესიის„ ზღვარზეა. მიუხედავად ამისა გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: შემუსავებულია საქართველოს საინოვაციო კონცეფცია, მიღებულია კანონები ინოვაციების შესახებ და საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ; მეცნიერების დაფინანსება მშთ-ს 0,2-დან-0,3%-მდე გაიზარდა; დაიწყო ინფრასტრუქტურული მშენებლობები. თუ ინოვაციური განვითარებისთვის კადრების მომზადებასა და საინოვაციო პოტენციალის შენარჩუნებაში საერთაშორისო დახმარებების (პროგრამები, სააგენტოები, პროექტები: EU TACIS, GIZ, CRDF Global, ISTC, USTC, STCU, TUBITAK, CNRS, CNR და სხვ) წვლილსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელი პირობები არსებობს.

ინოვაციური საქმიანობის მართვის ეფექტურობა საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარებასა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მექანიზმების დახვეწას უკავშირდება. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე მაღალია საჯარო-კერძო პარტნიორობის ფენომენთან დაკავშირებული მოლოდინები. ამ პარტნიორობის არსის ინტერპრეტაცია საქართველოს სინამდვილეში გარკვეულ პირობების არსებობას მოითხოვს:

✓ ხარისხობრივად ახლი ინსტიტუციონალური გარემო კლასტერის სახით - სახელმწიფო, კერძო სექტორი, კვლევითი ორგანიზაცია, საზოგადოება;

✓ ინოვაციების სფეროში დიდი რისკების გამო პარტნიორებს შორის თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის და ნდობის გარემოს შექმნა.

ნდობის გარემო შეიქმნება შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

✓ ინფორმაციულ-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზება კვლევის შედეგების დანერგვისათვის ინფორმაციის დამუშავების, კერძო-საჯარო ურთიერთობების მეთოდოლოგიური საფუძვლების, კვლევითი მონაცემთა ბაზების შექმნის, საპატენტო მოწმობის გაფორმების, უცხო პატენტების შექმნისა და წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობის ფუნქციით;

✓ მეცნიერების, საინჟინრო საქმესა და ტექნოლოგიის სფეროში კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს შორის პრიორიტეტული მხარდაჭერა;

✓ ინოვაციების შესახებ კანონმდებლობის დახვეწა ინოვაციური პროექტების ფინანსირებისა და რეალიზაციის მექანიზმებთან დაკავშირებით, ამ სფეროში ნორმატიული მასალის დიდ მასებს შორის შეთანხმებული კავშირების უზრუნველყოფა, მათი სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით.

რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის და ამერიკული კერძო ფირმის („Long Arc Technology“) ტექნოლოგიების დამუშავების საქმეში პარტნიორობის პრეცედენტის ანალიზი საქართველოში განხორციელებული კვლევის შედეგების კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია.

კრიტიკული კომპონენტის პირობებში, კონკრეტული რეალიზებული კვლევის შედეგების პრაქტიკის შეწავლილით გამოვლინდა, რომ სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალის დონე საქართველოში საკმარისია წარმატებული ინოვაციური საქმიანობისთვის; საქართველოში აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად არსებობს სამეცნიერო რეზერვი.

ინოვაციური საქმიანობის ეფექტურობა მიღწევადია ფინანსური მხარდაჭერის, ინსტიტუციონალური ღონისძიებებისა და სოციალური შემადგენლის გათვალისწინებით.

1. ფინანსური მხარდაჭერა მიიღწევა:

✓ ინოვაციური საქმიანობის სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის პირდაპირი სხვა) და ირიბი (ფონდები, ბიზნეს-ინკუბატორები, ბანკი, ასოციაცია, მსხვილი საწარმო და სხვა) ინსტრუმენტების დანერგვით;

✓ ფინანსური წილობრივი მონაწილეობის სქემების შემუშავებით: სამეცნიერო-წარმოებითი ინფრასტრუქტურის მშენებლობის, საპატენტო-სალიცენზიო ხარჯების, მაღალი ტექნოლოგიის და მეცნიერებადტევადი პროდუქციის სერთიფიცირების, ნოუ-ჰაუს შექმნის, კვლევის პროდუქტის კომერციალიზაციისათვის მომზადების სფეროში;

✓ საინოვაციო საქმიანობის სფეროში ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა შემუშავებისთვის აღებულ კრედიტებსა და სესხებზე პროცენტული განაკვეთის კომპესაციით;

2. ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური ღონისძიებები გულისხმობს:

✓ საინოვაციო საქმიანობის ინფრასტრუქტურის შექმნა, მაღალი ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარების ტერიტორიული ერთეულებისთვის განსაკუთრებულის სტატუსის მინიჭება;

✓ საპატენტო-სალიცენზიო ბიუროების ვენჩურული საინვესტიციო ორგანიზაციების, ინოვაციური წარმოების სადაზღვევო ორგანიზაციების, ლიზინგური კომპანიების შექმნა და მხარდაჭერა;

✓ მეცნიერებადტევადი საწარმოს ფართომასშტაბიანი ამოცანის დაგეგმვა შესაძლებელია მხარდაჭერის შიდა მექანიზმებთან ერთად საერთაშორისო კვლევებში მაღალი დონის სამეცნიერო დიასპორასთან (ჩვენი მონაცემებით მათი რიცხვი დაახლოებით არის 1200) კოოპერაციის ხარჯზე და საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენებით;

✓ სამეცნიერო კვლევის შედეგებზე მოთხოვნების შესწავლა, გაუქმებული პატენტების მოდერნიზაციისთვის ამოცანის დასმა, ინფორმაციული უზრუნველყოფა, კადრების მომზადება.

3. სოციალური შემადგენელი გულისხმობს:

✓ კორპორაციული სოციალური ანგარიშებისა და კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას;

✓ CSR - სოციალური პროექტების განხილვას, როგორც ბიზნეს-პროექტს, რომელიც კომპანიის გრძელვადიან განვითარებისკენაა მიმართული. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ბალანსს: კორპორაციის - მოგებისაკენ მისწრაფებას, საზოგადოების - სიმდიდრის თანასწორ განაწილების ინტერესსა და სახელმწიფოს - პოლიტიკური სისტემის მდგრადობის ამოცანას შორის;

✓ CSR - ინოვაციურ საქმიანობაში გამოგონებისა და აღმოჩენის ღირებულებასთან კავშირების მეთოდურ დამუშავებას. გამოგონება, აღმოჩენა მაშინაა ღირებული, თუ იგი სოციალური უნარის მატარებელია. ამიტომ, სუბიექტისათვის დამახასიათებელი თვისება - პასუხისმგებლობა, შეიძლება ობიექტისკენ მივმარფთოთ და სამუშაო ტერმინად შემოვიტანოთ -"პასუხისმგებლური ინოვაციები" (Responsible Innovation), ან "პასუხისმგებლური კვლევები და ინოვაციები";

✓ CSR - პასუხისმგებლური ინოვაციების ეთიკური პოზიციებიდან მისაღები კვლევის შედეგის დანერგვის ხელშეწყობას, რომელიც სოციალურად მდგრადი და მისაღებია. ამ პარადიგმას პირდაპირი კავშირი აქვს ევროპულ პოლიტიკურ პროცესებთან, ღირებულებებთან, თეორიულ კვლევებთან;

✓ მეცნიერთა სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც პროფესიულ პასუხისმგებლობისგან განსხვავებით, მეცნიერების ეთიკის გარე მხარეა. ამიტომ, ცნება მეცნიერის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს ისეთი კვლევებისა და ექსპერტიზების ჩატარებას, რომლებიც საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტისკენაა მიმართული და კვლევის შედეგი საზოგადოებას და მის ცალკეულ წევრებს საფრთხეს არ შეუქმნის. აკადემიური თავისუფლება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აბსოლუტური უფლება, არამედ, როგორც მეცნიერთა უფლება საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობით.

ამრიგად, საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეწყობის ფინანსური, ინსტიტუციონალური და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასახელებული მექანიზმების კომპლექსური გადაწყვეტა წარმოადგენს საქართველოს საინოვაციო საქმიანობის წარმატების საფუძველს.

ასეთი სისტემური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობას ითხოვს. თავისი მასშტაბურობისა და მრავამხრივი ამოცანების გამო ამ დოკუმენტს შეიძლება „გარღვევის“ სტრატეგია ვუწოდოთ. მხოლოდ ასეთი სტრატეგიის პირობებში იქნება შესაძლებელი ევროკავშირის ტენდენციებთან საქართველოს ინოვაციური საქმიანობის დაახლოება.

კვლევის შედეგების აპრობაცია. დისერტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და მაგისტრების ერთობლივ სხდომაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში ჩატარდა დებულებით გათვალისწინებული ორი სამეცნიერო - თემატური სემინარი:

თემატური სემინარი #1 – ინფორმაციული ტექნოლოგიები და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზება. 27.02.2018.

თემატური სემინარი #2 – დომეინ სახელები. 23.07.2018.

თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის ფარგლებში, სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში მომზადდა სამი კოლოკვიუმი:

კოლოკვიუმი I – საინოვაციო პოლიტიკის პრობლემები საქართველოში. 27.02.2018.

კოლოკვიუმი II – კერძო საჯარო პარტნიორობის ახალი ტენდენციები ინოვაციური საქმიანობის სფეროში. 23/07/2018.

კოლოკვიუმი III – ინოვაციური საქმიანობა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 21.02.2019.

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

1. 10-ე საერთაშორისო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“ – ტექნოლოგიური ინოვაციების მართვის ინსტრუმენტები საქართველოში - 2016 წ.

2. მე-12 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება სამეცნიერო ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სტრატეგია (საქართველოს მაგალითზე) - 2018“

ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები:

3. ტექნოლოგიური ინოვაციების მართვის ინსტრუმენტები საქართველოში. (ხელისუფლება და საზოგადოება №3 (47) 2018 გვ. 34-41)

4. კერძო-საჯარო პარტნიორობა ინოვაციური საქმიანობის სფეროში. (ხელისუფლება და საზოგადოება №1 (49) 2019, ტომი II გვ. 79-89)

5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ინოვაციური საქმის მართვის ინსტრუმენტი. (ხელისუფლება და საზოგადოება №1 (49) 2019, ტომი I გვ. 23-30)